საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

ქ. თბილისი
18.01.2023 წელი

№ MOD 3 23 00000040

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობის, სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობის, სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და წესი“.
2. დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორს, ბაკალავრიატის იუნკერებისათის ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სტიპენდიის გასაცემად სათანადო ღონისძიებების განხორციელება.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობის, სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 24 სექტემბრის № 6 21 00000865 ბრძანება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2023 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მმართველობა
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ლელა ჩიქოვანი